პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაგზავნა და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4. ტელეფონი №

№ 172 ხუთშაბათი, 29 სექტემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 29 სექტემბერი. 1921 წ. № 172

29 სექტემბერი
ხუთშაბათი

1917. დემოკრატიული თათბირზე მუშათა დელეგაცია მოითხოვს ძალა-უფლების საბჭოების ხელში გადასვლას.

1888. პოლიტიკურ გადასახლებულთა ფიზიკური წამება სახალინში.

დღიური

— შეერთებულ შტატებში გაფიცულ მემადნეეთა წინააღმდეგ მთავრობამ ჯარი [illegible] მდგრელ შეტაკებათა შემდეგ მუშები [illegible] და გაფიცვა ჩაქრა.

— ირლანდიაში დაიწყო რკინის გზელთა გაფიცვები.

— პოლონეთში მარშალ პილსუდსკიზე ორჯერ მოახდინეს თავდასხმა, მაგრამ ორივეჯერ უშედეგოდ.

მუშათა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი

ცენტრალური კომისია

აცხადებს მუშათა 25 სახლის საზეიმო გახსნის შესახებ

1. კირკის ქ., 33. ადგილობრივი ტრანსპორტის კავშირის მუშათა სახლი, დღის 4 საათზე, ხუთშაბათს, 29 სექტემბერს.

2. კოჩუბეის ქ., 10. სახალხო კავშირის მუშათა სახლი, იმავე დროს.

3. გიორგის ქ., 6. მეტყავეების მუშათა სახლი, დღის 4 საათზე, პარასკევს, 30 სექტემბერს.

4. კახეთის ქ., 42. მკერავების მუშათა სახლი, იმავე დროს.

5. კახეთის ქ., 44. მკერავების მუშათა სახლი, იმავე დროს.

6. ტატიანას ქ., 5. რკინის გზელთა კავშირის მუშათა სახლი, დღის 12 საათზე, კვირას, 2 ოქტომბერს.

7. პლეხანოვის ქ., 128. რკინის გზელთა კავშირის მუშათა სახლი, იმავე დღეს, დღის 1 საათზე.

8. კირკის ქ., 19. კომ. მეურნეობის მუშათა სახლი, იმავე დღეს, დღის 12 საათზე.

9. რტიშჩევის ქ., 15. კომუნისტურ მეურნეობის მუშათა სახლი (ცეცხლის მქრობელთა) დღის 1 ს., იმავე დღეს.

10. ოლღას ქ., 26. ადგილობრივი ტრანსპორტის მუშათა სახლი, დღის 1 საათზე იმავე დღეს.

11. პეტროგრადის ქ., 9. მკერავების მუშათა სახლი, იმავე დღეს, დღის 2 საათზე.

12. პლეხანოვის ქ., 17. სახალხო კავშირის მუშათა სახლი, დღის 2 საათზე იმავე დღეს.

13. პლეხანოვის ქ., 114. ადგილობრივი ტრანსპორტის მუშათა სახლი, იმავე დღეს, დღის 12 ს.

14. ნიკოლოზის ქ., 71—24. ადგილობრივი ტრანსპორტის მუშათა სახლი, დღის 1 ს. იმავე დღეს.

15. კახეთის ქ., 62. მეტყავეების მუშათა სახლი, იმავე დღის 12 ს.

16. ნიკოლოზის ქ., 75. მეთამბაქოეების მუშათა სახლი, იმავე დღის 4 საათზე.

17. ბაქოს ქ., 9. ტრამვაელ მუშათა სახლი, დღის 12 ს. კვირას ცხრა ოქტომბერს.

18. ტატიანას ქ., 10. მეთამბაქოე მუშათა სახლი, დღის 12 საათზე, კვირას, 16 ოქტომბერს.

19. პასტერის ქ., 5. რკინის გზელთა კავშირის მუშათა სახლი, იმავე დროს.

20. ტატიანას ქ., 8. რკინის გზელთა კავშირის მუშათა სახლი, იმავე დღეს, დღის 1 ს.

21. ბორჯომის ქ., 10. რკინის გზელთა კავშირის მუშათა სახლი, იმავე დღის 2 საათზე.

22. პასტერის ქ., 3. ტრამვაელ მუშათა სახლი, დღის 4 ს., ოთხშაბათს, 5 ოქტომბერს.

23, 24. ელისაბედის ქ., 118 და 97. რკინის გზელთა პროფკავშირის მუშათა სახლები, დღის 4 ს., ხუთშაბათს, 6 ოქტომბერს.

25. პლეხანოვის ქ., 106. კომ. მეურნეობის მუშათა სახლი, დღის 12 საათზე, კვირას, 9 ოქტომბერს.

პროფკავშირთა წევრების და პარტიულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

მუშათა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი ცენტ. კომისიის თავმჯდომარე გრ. არუტინოვი.

სოციალისტ-შოვინისტები

როგორც ჩანს, საარქივო „სოციალისტები" და „ფედერალისტები" პეტრე მირიანაშვილის ჯიშისა საბჭოთა საქართველოშიც ისევე გრძნობენ თავს, როგორც წინეთ, შოვინიზმის და გაცოფებულ ნაციონალიზმის ხანაში. რაკი საბჭოთა ხელისუფლება არ გამოდგა ბარბაროსობის, მტარვალობის, ცარცვა გლეჯის და სისხლის ღვრის მოციქული, როგორათაც ხატავდნენ ისინი მუშურ-გლეხურ დიქტატურას, ამიტომ შეუდგნენ კვლავ არქივების მტვრის ბერტყას და—თითქოს არაფერი არ შეცვლილიყოს—ღაღადს: „საქართველო ქართველებისათვის".

თუ საქ. საბჭოთა მთავრობა აღიარებს ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპს, იმ პრინციპს, რაზედაც ფიცულობდენ ყველა დროის და ყველა ქვეყნის სოციალისტების გარდა, უზადრუკი დემოკრატებიც კი, ეს თურმე საქართველოს დაქცევა ყოფილა.

თუ საბჭოთა მთავრობა ავტონომიას ანიჭებს აჭარისტანს და აფხაზეთს, ეს თურმე საქართველოს ისტორიულ მტერთათ გადაქცევა ყოფილა. და გათამამებული მირიანაშვილები აფხაზეთის იარაღით დამორჩილებასაც კი „მოითხოვდნენ" ჩვენგან. და რაკი ასეთ თავხედობას საბჭოთა მთავრობამ ლმობიერი პასუხი გასცა და მხოლოდ გაზეთის შეჩერებით დაკმაყოფილდა, მირიანაშვილებს აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ განახლებულ გაზეთშიაც ნაციონალიზმს ბოლი არ უნდა ჩაჰქრეს.

ახლა ოსეთის ავტონომიის ხმას მიუღწევია პ. მირიანაშვილის არქივამდის და ისიც მოსთქვამს: საქართველო ბედშავია, ქართველი ხალხი თავის ქვეყანაშია, „მაგრამ იმას არავინ არაფრად აგდებს, იმისი და იმის ქვეყნის ბედი სხვის ხელთ" არის.

ეს იწერება საბჭოთა რესპუბლიკაში, იბეჭდება საბჭოთა სტამბაში, საბჭოთა ქაღალდზე.

მირიანაშვილებისთვის სამხრეთ ოსეთი არ არსებობს როგორც გეოგრაფიული ცნებაც კი, არსებობენ მხოლოდ ოსები, რომლებიც ქართველ თავადებს თავიანთ ინტერესებისათვის შემოუხიზნიათ საქართველოში. ოსეთი მხოლოდ კავკასიონის ქედის გადაღმა ყოფილა, იქიდან მხოლოდ სარძლოდ მოვლინებია საქართველოს ბურდუხან დედოფალი და მისი მეორე ქმარი დავით სოსლანი, თამარ მეფის უღირსი ქმრის ინტრიგის ამომგდები.

ამიტომ „ქართველ ოსების" ავტონომია უდიდესი აბსურდი ყოფილა „დიდი ვერაგობის ან დიდი გულუბრყვილობის" ნაყოფი!

ისტორიის არქივები ღაღადებენ თურმე იმასაც, რომ საქართველო მუდამ მამაშვილურად ეპყრობოდა ოსებს: „ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში ვახტანგ სჯულმდებლის თაოსნობით დაიბეჭდა ხუცური ასოებით ოსური საეკლესიო წიგნები ოსებისთვის"!

ამიტომ განა ცხადზე უცხადესი არ უნდა იყოს, რომ „ცილის წამება იქნება, ქართველ ხალხს უწოდოთ შოვინისტი, სხვა ეროვნების მოძულე". ვიტყვით ჩვენც: ცილისწამება იქნება ქართველ მშრომელ ხალხს უწოდოს ვინმემ შოვინისტი, სხვა ეროვნების მოძულე, მაგრამ ცილისწამება არ იქნება, პირიქით სრული ჭეშმარიტება იქნება ზოგ საარქივო სოციალისტს ვუწოდოთ შოვინისტი, და მაშასადამე მოვექცეთ შესაფერისად, არ გავაფუჭებინოთ ქაღალდი ეროვნული სიძულვილის გასაღვივებლად, დავასადგუროთ სხვა არქივში, სადაც ის რამდენიმეთ მაინც იგრძნობს მშრომელთა დიქტატურას, რომლის დანიშნულებაა ისეთი მდგომარეობა შექმნას საბჭოთა საქართველოში, რომ მართლა „დიოგენის ფარნით" საძებნი გახდეს ინტელიგენტი-შოვინისტი.

ნატურალური გადასახადის ირგვლივ

ყველა ამხანაგებისთვის, ყველა პარტიონ მოქალაქეთათვის ცხადი უნდა იყოს შემოღებული ნატურალური გადასახადების მნიშვნელობა. ის იმედები, რომლებსაც სახელმწიფო ამყარებს ამ გადასახადების თავის დროულ და მთელი მათი ნავარაუდევი რაოდენობით აკრებაზე, სრულიად გასამართლებელია მთელ რიგ იმ ზომებისათვის, რომელთა მიღება განძრახულია და კიდევაც ხორციელდება ამ დიდი საქმის გასაკეთებლათ. გადასახადების აკრება დამკვრელ მუშაობად არის გამოცხადებული და მის გასატარებლათ საჭიროა მთელი ჩვენი ენერგიის და ადმინისტრატიულ საშუალებათა მობილიზაცია. თანახმათ ჩვენი პარტიული ცენტრის მიწერილობისა ადგილობრივ პარტ-ორგანიზაციებისადმი, მათ დავალებული აქვთ მთელი თავისი შესაძლებლობით ხელი შეუწყონ სათანადო ორგანოებს ნატურ-გადასახადების კამპანიის ჩატარებაში, დეკრეტების ცხოვრებაში გასატარებლათ. ხოლო ზოგიერთი ცნობები, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, ვერ მოწმობენ იმაზე, რომ ეს მიწერილობა საჭირო ენერგიით სრულდებოდეს ჩვენი ორგანიზაციების მიერ. ცხადია, როგორც ამას სამართლიანათ აღნიშნავს ერთი ჩვენი კორესპონდენტი, რომ მარტო დეკრეტების გამოქვეყნება და გაზეთის წერილები საკმაო არ არის. ის, რაც საჭირო ინფორმაციის უქონლობის გამო შეუძლებელია გათვალისწინებული იქნეს ცენტრში, უნდა ითქვას და გაკეთდეს ადგილობრივ. არის ისეთი წვრილმანი საკითხები, რომლებიც შეიძლება ხშირათ უკეთესათ იქნეს პრაქტიკულათ ახსნილი და განმარტებული ისევ ადგილზე.

ამიტომ უმთავრესი ნაწილი დეკრეტების საქმიანი გარჩევის და რასაკვირველია, მათი გატარების, ეს ადგილობრივი სპეციალური ორგანოების საქმეა და აქ არის უაღრესად საჭირო დახმარება ჩვენი პარტ-ორგანიზაციების. იმ მნიშვნელობის გამო, რომელიც აქვს ამ კითხვას, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ დღეს პარტიული მუშაობა სოფლად, პარტიული პროპაგანდა და აგიტაცია, მოხსენებები და საუბრები უამისოთ, რომ მას არ ჰქონდეს დათმობილი სხვა საჭირბოროტო საკითხებს შორის, ცენტრალური ადგილი. ამ მხრივ სრულიათ მართალია ერთი ამხანაგი, რომელიც ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მიუთითებს თავის წერილში ადგილობრივ ამხანაგების მუშაობის ამ ნაკლზე. პარტიული ორგანიზაცია, რამდენადაც ის თავის დანიშნულების სიმაღლეზე სდგას, არის ყველაზე უფრო საიმედო თვალი და ყური რევოლიუციონური მთავრობის, მისი დამხმარე. ცხადია, მის ერთ დიდ მოვალეობას შეადგენს ამ მთავრობის დეკრეტების, განკარგულებების, ყოველი მისი ნაბიჯების ახსნა-განმარტება, მით უმეტეს, როდესაც სოფელში მოდებულია ათასნაირი ჭორი, პროვოკაციული ხმები და ჩვენი მოუწყობლობის, თუ ბოროტი ხელის გავლენით, გაზეთიც ვერ სწვდება პროვინციას, განსაკუთრებით მის მივარდნილ ნაწილებს.

დეკრეტები ნატურალური გადასახადების შესახებ უნდა გატარდეს და დებულ ვადაში სრული რაოდენობით. ამით ხელი უნდა შევუწყოთ სურსათის მომარაგებას, რომელიც ესაჭიროება სახელმწიფოს თავის წარმოებაში ჩაბმული მუშებისათვის, მოსამსახურეებისა და ჯარისათვის, ჩვენ უნდა შევქმნათ ამ საშუალებით ის სავალუტო საქონლის ფონდი, განძრახული საზღვარგარეთ გასატანათ და ამ გზით ისევ სახელმწიფოს თვის საჭირო საგნების შემოსატანათ. უამისოთ ჩვენი მუშაობა შეფერხდება. საჭიროა მთელი ძალების დაჭიმვა ამ მიზნის მისაღწევათ. ჩვენი ადგილობრივი პარტ-ორგანიზაციები აქტიურათ უნდა ჩაერიონ ამ საქმეში და სპეციალურ ორგანოებთან ერთათ ხელი შეუწყონ მთელი თავისი შესაძლებლობით ამ უმნიშვნელოვანესი კამპანიის ჩატარებას.

„ახალი კურსის" ძირითადი ამოცანა

ყველა და ყოველგვარ პირობებში, როგორიც არ უნდა იყოს ეკონომიური პოლიტიკის კურსი, კომუნიზმის აღმშენებლობისათვის ძირითადი მნიშვნელობა აქვს მსხვილ მრეწველობას. მსხვილი მრეწველობა არის გამოსავალი წერტილი ტეხნიკური განვითარებისათვის; მსხვილი მრეწველობა არის კომუნისტური საზოგადოების ეკონომიურ ურთიერთობათა საფუძველი; მსხვილი მრეწველობა არის დასაყრდენობი იმ სოციალური ძალისათვის, რომელიც ქმნის კომუნისტურ რევოლიუციას, ე. ი. ინდუსტრიალური პროლეტარიატისათვის. ამიტომ, უმთავრეს ამოცანას სამეურნეო პოლიტიკისას, რომლის მიმართულება სძევს საწარმოო ძალთა განვითარების ხაზზე, შეადგენს მსხვილი მრეწველობის გამაგრება.

მაგრამ დავსვამთ თუ არა ჩვენ კითხვას მსხვილი მრეწველობის გამაგრების შესახებ, მაშინვე დგება ჩვენ წინ ერთი დიდი ამოცანა. მსხვილი მრეწველობის გასამაგრებლათ საჭიროა „ფონდები" (სასურსათო, ნედლი მასალის, საწარმოო დაწესებულების დამატებითი მოწყობილობისათვის და სხ.) და ჩვენ ვვარდებით თითქოს გამოუვალ რკალში: მრეწველობისათვის საჭიროა პროდუქტები, ამ უკანასკნელთა მისაღებათ კი—მრეწველობა. „მიწა სდგას ვეშაპზე, ვეშაპი წყალზე, წყალი მიწაზე, მიწა ვეშაპზე" და ასე დაუსრულებლივ.

აქედგან ცხადია: მსხვილი მრეწველობის აღსადგენათ საჭიროა პროდუქტების რაოდენობის გამრავლება, როგორათაც არ უნდა მოხდეს ეს და რა საშუალებითაც არ უნდა მივაღწიოთ მას.

როგორათაც არ უნდა მოხდეს ეს! რადგან, სხვანაირათ ჩვენ არ გვექნება ელემენტარული წინასწარი პირობებიც კი მის აღდგენისათვის. შრომის ენტუზიაზმისკენ მოწოდებით შორს ვერ წავალთ თუ ამასთან ერთად არ გვექნა ნედლი მასალა, სურსათი და სხვა.

რა საშუალებითაც არ უნდა მივაღწიოთ მას! იმიტომ, რომ ის დამატებითი რაოდენობა პროდუქტების, რომელიც ესაჭიროება ჩვენ მსხვილ მრეწველობას, უნდა შემოვიტანოთ გარედან, არა თვით მსხვილი ინდუსტრიის სფეროდან, რომელიც მუშათა სახელმწიფოს ხელშია, არამედ უნდა ვიშოვოთ სხვა გარეშე წყაროებიდან, რა ფასიც არ უნდა მივცეთ ამ პროდუქტებში.

პროდუქტების რაოდენობის ეს გამრავლება არის მიმდინარე მომენტის უზენაესი კანონი, ზემომოყვანილი დებულება შეიცავს „მთელ სიბრძნეს" ახალი კურსისას, მას საფუძველს.

რომელი წარმოების იმედი შეგვიძლია ვიქონიოთ ჩვენ პროდუქტების დამატებითი რაოდენობის მისაღებათ? ეს წყაროები არიან შემდეგი: გლეხის მეურნეობა, წვრილი მრეწველობა, იჯარა, კონცესიები, საგარეო ვაჭრობა.

გლეხის მეურნეობა არის, როგორც ვიცით, ინდივიდუალისტური, წვრილ-ბურჟუაზიული. მაგრამ მისი გამაგრება, გაზრდა, გაუმჯობესება ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა. გაუმჯობესება წარმოადგენს აუცილებელ პირობას ჩვენი მსხვილი ინდუსტრიის ზრდისათვის. შეცდომა არის გლეხის მეურნეობის განხილვა დანარჩენ ცხოვრებასთან კავშირის გარეშე და სამჯერ მეტი შეცდომა იქნებოდა ასე მოვქცეულიყავით დღეს. პროდუქტების დამატებითი რაოდენობის ამ სფეროდან ამოღება წინასწარ გულისხმობს მის ზრდას რაც—დროებით, განვითარების მიმდინარე ხანაში—ნიშნავს მხოლოთ ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ზრდას მაგრამ ეს ზრდა საშუალებას გვაძლევს მივიღოთ პროდუქტების დამატებითი რაოდენობა.

სწორეთ იგივე შეიძლება ითქვას წვრილ მრეწველობაზედაც.

იჯარა შეიძლება წარმოვიდგინოთ ორი ფორმით: ან, როგორც კაპიტალისტური იჯარა (წარმოების კაპიტალისტისათვის მიცემა ასამუშავებლათ) ან და წარმოების გადაცემა მუშათა კოლექტივებისათვის. მეორე შემთხვევაში ჩვენ წინ არ წამოიჭრება კაპიტალისტური საფრთხე, მაგიერათ მუშათა კოლექტივებს ჩვეულებრივ არ ექნებათ საყოფი საბრუნავი საშუალებანი. კაპიტალისტური იჯარის შემთხვევაში ნაგულისხმევია, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა სპეკულიანტთან, არამედ წარმოების მომწყობთან, რომელსაც აქვს კაპიტალი ამა თუ იმ სახით. ნედლი მასალა, სურსათი და სხვ. მან უნდა გამოძებნოს არა სახელმწიფოს საწყობებში, არამედ უნდა ეძიოს ისინი გლეხის მეურნეობის და წვრილი მრეწველობის სფეროში. რადგან იჯარით გაიცემა, უმთავრესათ, გაჩერებული წარმოება, ან ისეთი, რომლის მუშაობა ცუდათაა დაყენებული და სხვ. და რადგან საიჯარო გადასახადით სახელმწიფო მიიღებს რეალურ ღირებულებათა დამატებითი რაოდენობას, ამიტომ ეს ღირებულებანი შექმნიან მსხვილი განსახელმწიფოებრივებული ინდუსტრიისათვის საჭირო ფონდს.

კონცესიები არსებითად იგივე იჯარაა. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვექნება, ასე ვთქვათ, უფრო მაღალი მარკის კაპიტალისტურ მოიჯარადრესთან, რომელსაც უნდა ჰქონდეს ძირითადი კაპიტალის ნაწილებიც (მანქანები, შენობა და სხვ.)

კონცესიონერებისაგან რესპუბლიკის სასარგებლოთ გადახდილი პროდუქტებიც შევა ერთ წყაროთ განსახელმწიფოებრივებული მრეწველობის ფონდში.

კონცესიებთან დაკავშირებულია რამოდენიმეთ საგარეო ვაჭრობაც და ეს იმდენათ, რამდენათაც კონცესიონერები საიჯარადროს გადაგვიხდიან უცხოეთიდან შემოტანილი პროდუქტებით.

ჩვენი ძირითადი მიზნისათვის—პროდუქტების რაოდენობის გამრავლებისათვის—პროლეტარიატი ურიგდება არა პროლეტარული (წვრილ და მსხვილ ბურჟუაზიული) ელემენტების ზრდას იმიტომ, რომ შეინარჩუნოს, გაამაგროს, განავითაროს პროლეტარული მეურნეობის ფორმები, განსახელმწიფოებრივებული მრეწველობა.

ნ. ბუხარინი.

ამხ. ლავრენტი ადამიძე

დღეს მიწას ვაბარებთ უდროოთ დაღუპულ ამხ. ლ. ადამიძის სხეულს. ახალგაზრდული ალტყინებით ჩაება ის ჩვენი პარტიის მუშაობასა და საბჭოთა აღმშენებლობაში. მედგარი მეომარი, დაუცხრომელი მუშაკი, ვერცხლის წყლის წვეთივით მმოძრავი, ის საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი უშიშარი რაინდი იყო ჩრდილო-კავკასიაში ნამუშევარი, ის დუშეთის მაზრის რევკომში შედის საქართველოში საბჭოთა გადატრიალების შემდეგ. დუშეთიდან ის გადადის თიანეთის მაზრაში რევკომის თავმჯდომარედ, და მუშაობს დაუღალავად. მაგრამ არ დაცალდა დიდხანს მუშაობა და ბრძოლა. საბჭოთა ორგანოში შემოპარული ბანდიტი, რაიონის მილიციის უფროსი ყაჩაღურათ ასალმებს მას სიცოცხლეს, ფულით დაინტერესებული, ტყვიით სწყვეტს ამხ. ადამიძის რევოლიუციონურ გულისძგერას, არა ერთი ასეთი საფლავი გაითხრება კიდევ ჩვენი ამხანაგების გვამის მისაღებად, სანამ საბჭოთა ხელისუფლება შესძლებდეს საბჭოთა ორგანოებში შემოპარულ ბანდიტების გაბაწვრას. მაგრამ არც ერთი ჩვენი ამხანაგი არ შეუშინდება ასეთ მომავალს და დაუღალავად იმუშავებს ამხ. ადამიძის მსგავსად, ბნელი ძალების დასათრგუნავად და ახალი ცხოვრების დასამკვიდრებლად.

საუკუნო ხსოვნა დაღუპულ კომუნისტს!

გამარჯვება დარჩენილებს მათ ბრძოლაში!

ო.

კომინტერნის მესამე კონგრესი

ამხ. ლენინის მოხსენება რუსეთის კომპარტიის ტაქტიკის შესახებ.

მე არა მაქვს განზრახული მოხსენების გაკეთება, არამედ ჩემი საუბარი უნდა შემოვფარგლო, დარიგებული თეზისების დასამატებლათ რამოდენიმე შენიშვნით და განმარტებით. ჩვენი პარტიის ტაქტიკას გასაშუქებლად საჭიროა საერთაშორისო მდგომარეობის განხილვა. კაპიტალიზმის ეკონომიური მდგომარეობა განხილული იყო ვრცლად კონგრესის მიერ, და მე ვეხები ამ კითხვას ჩემს თეზისებში მხოლოდ მოკლედ, წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით. ჩვენი რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის განხილვის დროს, ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ ამ ჟამად დამყარდა ერთგვარი წონასწორობა ძალების რომელნიც, მართალია, ერთმანეთს არიან დაპირისპირებული და მზად არიან ყოველ წუთს გაჩაღონ შეიარაღებული ბრძოლა. ასეთი დაუდგრომელი მერყევი მდგომარეობა შეიძლება ყოველ დღეს დაირღვეს—ამისათვის საკმაო ასაფეთქებელი მასალაა კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორც კოლონიალურ, ისე ნახევრად—კოლონიალურ ქვეყნებში. მაგრამ, რამდენად ინტერნაციონალური ბურჟუაზიის ყველა სამხედრო ცდა საბჭოთა რუსეთის გასასრესად დამთავრდა დამარცხებით, იმდენათ შეიძლება ლაპარაკი ეხლანდელ დაუდგრომელ წონასწორობაზედაც. ბურჟუაზია ეხლა ბევრათ მეტად არის ჩვენს რესპუბლიკაზე ძლიერი, და მხოლოდ მდგომარეობა უშლის ხელს მას აწარმოოს ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა. თუმცა, უკანასკნელ დღეებში ჩვენ ვხედავთ ინტერვენციის ახალ განზრახვას შორეულ აღმოსავლეთში, და ეჭვს გარეშეა, რომ ასეთ განზრახვებს ადგილი ექნება შემდეგშიაც. მაგრამ საყურადღებოა იმის აღნიშვნა რომ ეს წონასწორობა, ეს დასვენება ჩვენ უნდა გამოვიყენოთ, შევუთანხმოთ ჩვენი ტაქტიკა თანამედროვე მდგომარეობის თავისებურ პირობებს და ერთს წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ აუცილებლად მზად უნდა ვიყოთ აშკარა სამხედრო ბრძოლისათვის. წითელი არმიის ორგანიზაცია და გამაგრება, რჩება ისევე, როგორც წინედ ჩვენს ამოცანად. ამ დაუდგრომელ წონასწორობის დამყარებას აქვს ჩვენთვის მხოლოდ ის მნიშვნელობა, რომ რევოლიუციონურმა მოძრაობამ შორს გადასდგა ნაბიჯი, მაგრამ ის ვითარდებოდა წარსულ წლის განმავლობაში არა ისე სწორხაზოვანად, როგორც ჩვენ გვქონდა წარმოდგენილი. როცა ჩვენ მოვახდინეთ ჩვენი რევოლიუცია, ჩვენ ვამბობდით, ჩვენ დასამარებლად ან მოვა საერთაშორისო რევოლიუცია და მაშინ ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება, ან და ჩვენ შევასრულებთ ჩვენს მცირე რევოლიუციონურ შრომას იმ ღრმა რწმენით, რომ ჩვენი დამარცხება მაინც გაუწმენდს გზას მომავალ რევოლიუციებს. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ნათლად გვქონდა წარმოდგენილი, რომ საერთაშორისო რევოლიუციის გარეშე შეუძლებელია ჩვენი გამარჯვება, მიუხედავათ ყველა დაბრკოლებათა ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რათა საბჭოთა სისტემა დაგვემყარებია, ვინაიდან ჩვენ ვმოქმედებდით არა მარტო ჩვენი ინტერესების მიხედვით, არამედ მსოფლიო, პროლეტარიატის ინტერესების მიხედვითაც. საერთოდ და მთლიანად ეს მართალი აღმოჩნდა. თუ აქამდის არ დაიწყო რევოლიუცია მაღალ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, ჩვენ შეგვიძლია მაინც სიამოვნებით აღვნიშნოთ მისი განვითარება მთელ მსოფლიოში. სახელდობრ, ამ გარემოების გამო საერთაშორისო ბურჟუაზიას არ შეუძლია დაგვახრჩოს ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ ის ეკონომიურად და სტრატეგიულად ასჯერ უფრო ძლიერია ჩვენზე. რევოლიუცია ვითარდება არა ისე სწორხაზოვნად, როგორც ჩვენ მოველოდით. მაგრამ წინასწარი პირობები ჩვენ სასარგებლოთ გაცილებით მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი აღმოჩნდენ ვიდრე ჩვენ ვფიქრობდით. ამ ჟამად ჩვენ ამოცანას შეადგენს რევოლიუციის ენერგიული მომზადება კაპიტალისტურ ქვეყნებში და მისი განვითარების კონკრეტულ პირობების შესწავლა. ეს პირველი გაკვეთილია, რომელიც უნდა ვისწავლოთ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობიდან. რამდენად განვითარებული და ორგანიზაციურად შეკავშირებულია პროლეტარიატი მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში, მით უფრო მეტ სიმტკიცეს რევოლიუციის მომზადებაში თხოულობს ჩვენგან ისტორია, მით უფრო მეტის ენერგიით უნდა დავიპყრათ ჩვენ ორგანიზაციულად შეკავშირებულ მუშათა კლასის უმრავლესობა. მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში კაპიტალიზმის უმთავრეს დამცველად გამოდის მუშათა კლასის სწორედ ის ნაწილი, რომელიც შეკავშირებულია 2 და 2 ნახევარ ინტერნაციონალში. საერთაშორისო ბურჟუაზია სრულებით ვერ შესძლებდა არსებობას, რომ მას არ ჰქონოდა კონტრ რევოლიუციონური დახმარება მუშათა კლასის ამ ნაწილისაგან (გაცხოველებული ტაში).

ეს აქვე ხაზი უნდა გავუსვა აგრეთვე კოლონიებში მოძრაობის მთელ მნიშვნელობას. ყველა ძველი პარტიები და მათ რიცხვში წვრილ ბურჟუაზიული პარტიების მე-2-რე და 2 ნახევარ ინტერნაციონალიდან ჯერ კიდევ იჩენენ ამ საკითხში სანტიმენტალურ დამოკიდებულებას დამონებულ კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებისადმი. და ეს მაშინ, როცა კიდევ მე-XX საუკუნის დასაწყისიდან მოხდა დიდი ცვლილებები—მილიონები და ასეული მილიონები; დედამიწის მოსახლეობის დიდი ფაქტიური უმრავლესობა გამოვიდა სცენაზე, როგორც დამოუკიდებელი მომქმედი რევოლიუციონური ფაქტორი. დიდად საყურადღებოა, რომ ჩვენ პირველად ჩვენს ინტერნაციონალში დავსვით კონკრეტული ამოცანები ამ მოძრაობის მოსამზადებლად და განსავითარებლად.

მუშაობის ამ დიდ დარგში ხელის შემშლელი პირობები ძალიან ბევრია. მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს ამ მოძრაობის განვითარება. მუშათა და გლეხთა მასები ითამაშებენ საერთაშორისო რევოლიუციის შემდეგ საფეხურებზე ძალიან დიდ რევოლიუციონურ როლს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩამორჩენილნი არიან (გაცხოველებული ტაში).

ჩვენი რესპუბლიკის შინაურ პოლიტიკურ ვითარების გამოსარკვევათ ყურადღება უნდა მივაქციოთ უპირველეს ყოვლისა კლასთა ურთიერთობას. სოციალიზმის ამოცანას შეადგენს კლასების მოსპობა. პირველ რიგში სდგას ექსპლოატატორთა კლასი, იგი შესდგება მსხვილ მემამულეებისაგან კაპიტალისტ მრეწველებისაგან. მათი მოსპობა საკმაოდ ადვილია და შეიძლება ეს მოხდეს რამდენიმე თვეში, ან კვირაში. ჩვენი მემამულეების და კაპიტალისტების ექსპროპრიაცია ჩვენ სავსებით გავატარეთ მთელი სამოქალაქო ომის განმავლობაში. იმათ არ ჰქონდა თავის ორგანიზაცია და გამოდიოდნენ როგორც საერთაშორისო ბურჟუაზიის სამხედრო ძალების დამატება. ეხლა მას შემდეგ, რაც ჩვენ მიერ მოგერიებულია საერთაშორისო კონტრ რევოლიუციის თავდასხმანი, შესდგა რუსეთის ბურჟუაზიის საზღვარ გარეთული ორგანიზაცია რუსეთის ყველა კონტრ-რევოლიუციონურ პარტიებისაგან. ყველა იმათ, მემამულეებისაგან დაწყებული და მენშევიკებით გათავებული, აქვთ ყველა ქვეყნებში დიდი კავშირი ბურჟუაზიულ ელემენტებთან, რომელთაგან ისინი ღებულობენ ფულს პრესისათვის, და ჩვენ გვაქვს საზღვარგარეთ „თავისუფალი" რუსეთის პრესა, დაწყებული ესერული მენშევიკურიდან და გათავებული წმინდა წყლის რეაქციონურით. ერთგვარად ეს გვიადვილებს ჩვენ ამოცანას—ჩვენ გვაქვს საშუალება იოლად დავათვალიეროთ მტრის ძალები, მისი ორგანიზაციები და პოლიტიკური გადაჯგუფებანი. ამავე დროს, რასაკვირველია ეს აფერხებს ჩვენს მუშაობას, ვინაიდან რუსეთის კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაცია ხმარობს ყოველივე საშუალებას, რომ ჩვენს წინააღმდეგ მოაწყოს ბრძოლა. ეს ბრძოლა გვიჩვენებს ჩვენ, რომ კლასიური თვითშეგნება და გაბატონებულ კლასთან ინსტინქტი ჯერ კიდევ დამონავებულ კლასთან შეგნებაზე მაღლა სდგას, თუმცა რუსეთის რევოლიუციამ გააკეთა მასების შეგნების განვითარებისათვის მეტი, ვიდრე ყველა დანარჩენებმა რევოლიუციებმა. საზღვარგარეთელი ამხანაგები ძალიან ბევრს ისწავლიან, თუ სისტემატიურად თვალ-ყურს ადევნებენ რუსეთის კონტრ რევოლიუციის ტაქტიკურ მანევრებს, მაგარ მისწრაფებებს და გადაჯგუფებას. ერთგვარად ჩვენ უნდა ვისწავლოთ ამ მტრისაგან. ეს კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაცია ძლიერ გაბედულია, ორგანიზაციულათ კარგად არის შეკავშირებული, ყავს კარგი სტრატეგები და ამიტომ იმის თვალყურის დევნებას, თუ როგორ კავშირდება ორგანიზაციულათ ის, როგორ იყენებს ყოველ შესაძლებლობას უნდა ექნეს დიდი პროპაგანდისტური მნიშვნელობა მუშათა კლასისათვის.

ამ ექსპლოატატორთა კლასის გარდა ყოველ კაპიტალისტურ ქვეყნებში, რაც, შეიძლება ინგლისის გამოკლებით არსებობს წვრილ მწარმოებელთა და წვრილ გლეხობის კლასი. რევოლიუციის უდიდეს საკითხათ ითვლება ამ ორ კლასისადმი დამოკიდებულება. ამ კლასებისაგან განთავისუფლებისათვის საჭიროა სხვა მეთოდები, ვიდრე მსხვილ კაპიტალისტებისა და მემამულეთა მიმართ. უბრალო ექსპროპრიაციას და განდევნას აქ არ შეიძლება ექნეს ადგილი. იმ ხანის მნიშვნელობა, რომელშიაც ჩვენ ეხლა შევდივართ რუსეთში, საერთაშორისო თვალსაზრისით, თუ კი საერთაშორისო რევოლიუციის განვიხილავთ როგორც ერთიან პროცესს, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს წინაშე სდგას გადასაჭრელად საკითხი უკანასკნელ კაპიტალისტურ კლასისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულების შესახებ. თეორიულად ეს საკითხი მარქსისტებმა გადასჭრეს ადვილად და კარგად. მაგრამ ერთი საქმეა თეორია და მეორე-პრაქტიკა. ისტორიაში პირველი მაგალითია, რომ სახელმწიფოში არსებობს მხოლოდ ორი კლასი: პროლეტარიატი და გლეხობა. უკანასკნელი შეადგენს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას, რომელიც ძლიერ არის ჩამორჩენილი. კითხვა იმაში მდგომარეობს, ვინ უხელმძღვანელებს გლეხობას: პროლეტარიატი თუ ბურჟუაზია. ჩვენი თეორიულ ანალიზისა და ყველა კაპიტალისტურ ქვეყნების გამოცდილების მიხედვით შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ან ბურჟუაზია უხელმძღვანელებს გლეხობას, ან ეს ხელმძღვანელობა გადავა მუშათა კლასის ხელში. ეს მძიმე ამოცანაა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში პოლიტიკურად და ეკონომიურად ის შესაძლებელია. როგორ მივუდექით პრაქტიკულად ჩვენ ამ კითხვას: ჩვენ შევკარით კავშირი გლეხობასთან: პროლეტარიატი ათავისუფლებს გლეხობას ბურჟუაზიის ექსპლოატაციისა და გავლენისაგან, გლეხობა უერთდება პროლეტარიატს შეერთებული ძალით ექსპლოატატორებზე გასამარჯვებლათ. მენშევიკები ამბობენ: გლეხობა შეადგენს უმრავლესობას, ჩვენ წმინდა დემოკრატები ვართ, უმრავლესობამ უნდა გადაწყვიტოსო. მაგრამ ვინაიდან გლეხობა არ არის დამოუკიდებელი ძალა, ამიტომ ეს ნიშნავს პრაქტიკულად კაპიტალიზმის აღდგენას.

როცა ჩვენ ვამბობთ კავშირზე, ჩვენ ამაში ვხედავთ პროლეტარიატის გამაგრების პირობას. ჩვენი კავშირის პირველი საფეხური იყო სამხედრო კავშირი. ბრძოლა ექსპლოატატორებისა და მემამულეების წინააღმდეგ გლეხობისათვის ადვილი გასაგები იყო. გლეხობა, მთელი თავის ფართე მასებით, ჩვენს მხარეზე იყო; მიუხედავათ წერა-კითხვის უცოდინართა დიდი რიცხვისა, ჩვენმა პროპაგანდამ დიდი გავლენა მოახდინა მათზე. ეს გვიჩვენებს, რომ დიდი მასები მეტს სწავლობენ პრაქტიკულ სინამდვილეში, ვიდრე წიგნებში. გლეხობის ეს პრაქტიკული აღზრდა გაგვიადვილა ჩვენ იმ გარემოებამ, რომ რუსეთი განუსაზღვრელად დიდია და ამიტომ მისი ნაწილები თანდათანობით განიცდიდნენ განვითარების სხვა და სხვა საფეხურებს. ციმბირში და უკრაინაში კონტრ-რევოლიუციამ დროებით გაიმარჯვა, ვინაიდან იქ ბურჟუაზიას მხარს უჭერდა გლეხობა. მაგრამ საკმაო იყო ცოტა დრო, რომ გლეხობისათვის თვალი აგვეხილა და დაგვენახებინა მისთვის ნამდვილი მდგომარეობა, რომ გლეხებს შესძლებოდათ აქედან პრაქტიკული გაკვეთილების შეთვისება. ისინი ეუბნებოდენ თავიანთ თავს: ბოლშევიკები საკმაოთ არა სასიამოვნო ხალხია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ისინი უკეთესნი არიან, ვიდრე თეთრ გვარდიელები და „უჩრედილკა". მათ პრაქტიკის საშუალებით შეითვისეს, რომ დამფუძნებელი კრების უკან დგანან თეთრგვარდიელები, უკანასკნელები კი წინ მოუძღვიან მემამულეებს. მენშევიკებიც საუბრობენ ასეთ კავშირის ფაქტით, მაგრამ ანგარიშში არ უშვებენ იმას რომ მარტო ერთი კავშირი საკმარისი არ არის. სამხედრო კავშირი ეკონომიურ კავშირის გარეშე ვერ იარსებებს ჩვენი კავშირი გლეხობასთან ეკონომიურ საფუძვლის გარეშე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაგრძელებულიყო, და უამისოდ ჩვენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლას ვერ შევსძლებდით. ეს ეკონომიური კავშირი ჩვენსა და გლეხობას შორის არსებითად იყო ძალიან მარტივი, ძალიან ტლანქი: გლეხმა მიიღო ჩვენგან მიწა და დახმარება მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენ კი ამისათვის უნდა მიგვეღო სურსათი. ეს იყო საკმაოდ თავისებური კავშირი, რომელიც არ ემყარებოდა საქონლის მწარმოებლისა და მომხმარებლის შორის ჩვეულებრივ ურთიერთობას. ჩვენმა გლეხებმა შეიგნეს ეს მდგომარეობა გაცილებით უკეთ, ვიდრე 2 რე და 2 ნახ. ინტერნაციონალის გმირებმა. გლეხები აძლევდნენ წითელ არმიას თავის ნაწარმოებს და ეს უკანასკნელი კი იცავდა მათ მიწა-წყალს. კავშირის ეს პირველი ფორმა იყო საკმაოდ პრიმიტიული, ჩვენ ჩავიდინეთ ბევრი შეცდომა, მაგრამ ჩვენ რაც შეიძლება ჩქარა უნდა გვემოქმედნა, ჩვენ უნდა მოგვეგვარებია სურსათის მომარაგების საკითხი. სამოქალაქო ომმა ჩამოგვაცილა ჩვენ რუსეთის პურის რაიონები. ჩვენი მდგომარეობა აუტანელი იყო და სასწაულს უნდა მიეწეროს, რომ რუსეთის ხალხმა გადაიტანა ამდენი ტანჯვა, გაჭირვება და შევიწროება იმისათვის, რომ გამარჯვება მოეპოვებია. (დიდი ტაში).

მაგრამ სამოქალაქო ომის შემდეგ ჩვენი ამოცანა შეიქნა სხვა გვარი. რომ ქვეყანა განუწყვეტელი შვიდი წლის ომით ასე განადგურებული არ ყოფილიყო, პროლეტარიატსა და გლეხობის შორის კავშირის ახალ ფორმაზე გადასვლა იქნებოდა ადვილი. ამ ისედაც მძიმე მდგომარეობას შეემატა მოუსავლობა, საქონლის საკვების უქონლობა, გლეხობის მდგომარეობა შეიქნა აუტანელი, და ჩვენ დაუყონებლივ რაიმე ზომები უნდა მიგვეღო, რომ ნათლად გვეჩვენებია გლეხების დიდი მასისათვის, რომ ჩვენ მზათა ვართ რევოლიუციონური საშუალებით შევცვალოთ ჩვენი პოლიტიკა. ჩვენ უნდა დაგვენახებია ყველასათვის, უკანასკნელ გლეხით გათავებული, რომ ბოლშევიკებს უნდათ რა ფასადაც არ უნდა დაჯდეს ის, მათი აუტანელი მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ გვარად ჩვენ მივედით ჩვენივე ეკონომიური პოლიტიკის შეცვლამდის, გაწერა ჩვენ შევცვალეთ სასურსათო გადასახადით. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით რევოლიუცია უმსხვერპლოდ არ იქნება. პროპაგანდა, რომელიც ამ გარემოებას არ აშუქებს, არ არის კომუნისტური, რევოლიუციონური პროპაგანდა. ყველა რევოლიუცია გულისხმობს დიდ მსხვერპლს იმ კლასისთვის, რომელიც მას ახდენს. რევოლიუცია ჩვეულებრივი ბრძოლისაგან მით განსხვავდება, რომ მოძრაობაში მონაწილეობას ღებულობს ადამიანების ასჯერ მეტი რიცხვი და მსხვერპლი მოაქვთ არა მარტო ცალკე პარტიებს, არა მარტო პარტიას, არამედ კლასს მთლიანად. პროლეტარიატის დიქტატურა რუსეთში მოითხოვს გაბატონებულ კლასისაგან იმდენ მსხვერპლს, გაჭირებას და შევიწროებას,—როგორც არასდროს ისტორიაში. პირველად მუშათა კლასი განიცადა უდიდეს შევიწროებას. ჩვენი სასურსათო პოლიტიკა წლითი წლის უფრო და უფრო უმჯობესდება, და მდგომარეობა, უეჭველია, გაუკეთესდა; მაგრამ რუსეთის გლეხობამ მიიღო „რევოლიუციისაგან გაცილებით მეტი, ვიდრე მუშათა კლასმა. ამაში არავითარი ეჭვი არ არის. თეორიულად ეს რასაკვირველია, ნიშნავს, რომ განსაზღვრულ მომენტამდის ჩვენი რევოლიუცია იყო ბურჟუაზიული. როდესაც ამ არგუმენტს ხმარობს კაუტსკი ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენ ეს სასაცილოდ არ გვყოფნის. სრულებით ცხადია, რომ მემამულეთა მიწების ექსპროპრიაციით, მიწების გაუნაწილებლად ეს იქნებოდა ბურჟუაზიული და არა სოციალური რევოლიუცია. მაგრამ ჩვენ ვიყავით ერთად ერთი პარტია, რომელმაც მიიყვანა ბოლომდის ბურჟუაზიული რევოლიუცია და შეამსუბუქა ბრძოლა სოციალურისათვის. საბჭოთა ხელისუფლება და საბჭოთა სისტემა, რომელიც ჩვენ გავახორციელეთ, არიან სოციალისტური სახელმწიფოს ინსტიტუტები. როგორც მე ზევით ვსთქვი, საერთოდ გლეხების მდგომარეობა გაუმჯობესდა მუშათა კლასის ხარჯზე, სახელდობრ იმიტომ რომ დიქტატურა მუშათა კლასის ხელშია არის. გლეხთა მასების გარეშე, უამისოდ, რომ მათთან არ ვიყვეთ კარგ დამოკიდებულებაში, ჩვენ ვერ ვიარსებებდით და ეხლა როცა გლეხობის მდგომარეობა გაუარესდა ჩვენს ამოცანას შეადგენს გაუწიოთ მათ დახმარება. მუშებისათვის ეს ნიშნავს შევიწროების გაგრძელებას, მაგრამ ისინი წარმოადგენენ ერთად ერთს პოლიტიკურად განვითარებულ ელემენტს, და მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილმა გაიგო, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ინტერესები მოითხოვს ძალების უდიდეს დაჭიმვას იმისათვის, რომ გლეხობას აღმოუჩინოთ დახმარება, რა ფასადაც უნდა დაგვიჯდეს ეს. მუშათა კლასის, თითქმის მისი ავანგარდის, ცალკე ნაწილებმა ეს ვერ გაიგეს. ისინი ამისათვის ძლიერ მოიქანცნენ. მათ დაინახეს ამაში შეცდომა, უწოდეს მას ოპორტუნიზმი. გლეხი, ჩვენი ექსპლოატატორი, ამბობდნენ ისინი, ყველაფერს ღებულობს, რაც მას სურს, მუშები კი შიმშილობენ. განა ეს არ არის ოპორტუნიზმი? მაგრამ გლეხობასთან კავშირის დაუდებლად პროლეტარიატის პოლიტიკური ხელისუფლება შეუძლებელია. ეს იყო ჩვენთვის გადამწყვეტი. გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესობის ერთად ერთი საშუალება იყო ნატურალურ გადასახადზე გარდასვლა. იგი პრაქტიკულად არ არის ჯერ კიდევ ნაცადი, მაგრამ ეს ჩვენთვის ერთად ერთი თეორიული შესაძლებლობაა, რომ მივაღწიოთ სოციალისტურ საზოგადოების ნამდვილ, მკვიდრ ეკონომიურ საფუძველს ჩვენში, სადაც წვრილი გლეხობა შეადგენს მოსახლეობის უმრავლესობას. მართალია ნატურალური გადასახადი, რასაკვირველია ნიშნავს ვაჭრობის თავისუფლებას, ვაჭრობის თავისუფლება ნიშნავს კაპიტალიზმის თავისუფლებას. ჩვენ ამას ვაცხადებთ საჯაროთ, სრულებით არაფერს არ ვმალავთ მაგრამ ეს არის კაპიტალიზმის ახალი ფორმა—სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი. სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი საზოგადოებაში სადაც ბატონობს კაპიტალიზმი, და სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი პროლეტარულ სახელმწიფოში—ორი სხვა და სხვა ცნებაა. პირველ შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ კაპიტალიზმი სახელმწიფოს ექვემდებარება ბურჟუაზიის ინტერესებისათვის პროლეტარიატის წინააღმდეგ. მეორე შემთხვევაში ეს ხდება პროლეტარიატის ინტერესებისათვის, ამასთან არის შეკავშირებული საკითხი კონცესიების შესახებ. ის იწვევს ეჭვს მუშათა კლასის ნაწილ-

სამოქალაქო პანაშვიდი ბაქოს კომუნარების პატივსაცემლად

20 ენკენისთვეს, ბაქოს 26 კომუნარის მხეცურათ დახოცვის სამი წლის თავზე სახალხო სახლში გადახდილ იქნა საზეიმო სამოქალაქო პანაშვიდი დაღუპულ ამხანაგების პატივსაცემლად, ამხ. რუბენის შესავალი სიტყვისა და ტრადიციულ ჰიმნის შესრულების შემდეგ, სიტყვა ეძლევა ამხ. ფ. მახარაძეს.

ამხ მახარაძის სიტყვა.

ამხანაგებო, არ მოიპოვება ისეთი სიტყვები, რომლებიც საკმაოდ სამარცხვინო დაღს დაასვამენ იმათ, ვინც ამიერ-კავკასიის ყრუ ველებში ჩაიდინა ეს საზიზღარი ბოროტმოქმედება. ეს იყო შურის ძიება და არა უბრალო მკვლელობა, ეს იყო მოფიქრებული, ბოროტი საქციელი, რომელსაც მიზნათ ჰქონდა მუშათა კლასის ბელადების მოსპობა, იმ დროს, როდესაც თვით-შეგნება მუშებში ის იყო ისახებოდა. ეს დრო ჩვენ გვეჩვენება მეტად შორ წარსულათ, ნამდვილათ კი ეს იყო სულ 3 წლის წინ, როდესაც ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ერთი-მეორეს მისდევდნენ კონტრრევოლიუციონური აჯანყებები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ მეფის გენერლები. თქვენ გახსოვთ ბოლო 1917 წლისა, როდესაც თავის პოლიტიკით ეროვნულ შუღლს და სიძულვილს სთესდნენ ამიერ კავკასიის ხალხებში, ეთანხმებოდნენ ერთმანეთს მხოლოდ ერთში: რათაც უნდა დასჯდომოდათ, თუნდაც ოსმალ გერმანელ იმპერიალისტების დახმარებით, ჩამოეგდოთ საბჭოთა მთავრობა ბაქოში, რომელიც მაშინ, მხოლოთ ერთი, მთელ ამიერ-კავკასიაში არ მოჰყვა ნაციონალისტების გავლენის ქვეშ. ამ მიზნით მენშევიკები აშკარათ ეთანხმებოდნენ ოსმალეთ გერმანიის იმპერიალისტებს და იმ დროს, როდესაც მთელ რუსეთში იფეთქა აჯანყებებმა, რომლებსაც ინგლისი ყოველნაირათ მხარს უჭერდა, ოსმალეთის იმპერიალისტები კარგათ ითვალისწინებენ რა ბაქოს ნავთის სიმდიდრის მნიშვნელობას საბჭოთა რუსეთისთვის, გაიწვდიან თავის მახვილს ბაქოს პროლეტარიატისკენ. ინგლისი თავის მხრივ სპარსეთით მოიწევდა ნავთისკენ და ბურჟუაზიის დახმარებით მან დაიბრძავა ოქროთი მუსავატელები და მენშევიკები. სურსათის კრიზისი, საზიზღარი პროვოკაცია ნაციონალისტებისა, დაშნაკელების ღალატი—აი ის მდგომარეობა, რომლის დროსაც მუშათა კლასი მოსტყუვდა იმ იმედით რომ ინგლისი მისცემს მას ყველაფერს, რაც სჭირდება. მეთაურებისგან მოწვეულ თათბირზე გადასწყვიტეს: უმიზნოთ სისხლის ღვრის თავიდან ასაშორებლად დაეთმოთ და განშორებოდნენ. მაგრამ არავითარი კეთილშობილური საქციელი არ უზრუნველჰყოფს სამაგიერო კეთილშობილებას, თუ საქმე გვაქვს ღალატთან. ხელისუფლება გადადის ნაციონალისტების ხელში, ბურჟუაზია ზეიმობს და ასეთი ჯაჭვებით შებოჭილი ჩვენი ამხანაგები სატუსაღოს შემთხვევაში გამოვიდნენ ციხეში, მაგრამ ეს ორგია დიდხანს არ გაგრძელებულა. ბაქოს პროლეტარიატმა თვალები გაახილა, მაგრამ სამწუხაროთ მას მოაკლდა თავისი საუკეთესო ამხანაგები. მაშინ რომ ბაქოში საბჭოთა ხელისუფლება დარჩენილიყო, ამას ამგ მათ ასე არ გაუპატიებდნენ. 26 ჩვენი ამხანაგი, დაღუპული 3 წლის წინ, არიან საუკეთესო წარმომადგენლები მუშებისა არამც თუ ამიერ-კავკასიის, არამედ რუსეთის მასშტაბითაც. მათ დაკარგვას ჩვენ ვგრძნობთ და კიდევ დიდხანს ვიგრძნობთ. ვფიქრობთ რა იმათ ამბავს, ჩვენ უნდა ვუთხრათ: ადგილი არ უნდა ჰქონდეს მოღალატეებისადმი კეთილშობილურ და დიდსულოვან მოპყრობას. ეს შეგნება და მკვლელობის ამბავი გვავალებს ჩვენ და ჩვენს პარტიას ვიყოთ ბოლომდე მტკიცედ და, მუხლს ვიდრეკთ რა დაღუპულ ამხანაგების გმირობის წინაშე,—ვისწავლოთ, ვისწავლოთ და ვისწავლოთ.

ში. ჩვენ განვდევნეთ ჩვენი კაპიტალისტები, ამბობენ ისინი, იმისათვის რომ ეხლა მოვიწვიოთ უცხო კაპიტალისტები. მიუხედავათ ამისა, ეკონომიურად მუშათა კლასისათვის ეს ადვილი ასახსნელია. შვიდი წლის ომით ჩვენ საკმაოდ განადგურებული ვართ. ჩვენი მრეწველობის აღდგენა მოითხოვს წლებს. ჩვენ ეხლა ფასი უნდა გადავიხადოთ ჩვენი ჩამორჩენილობისათვის, ჩვენი ტაქტიკისათვის, ვინაიდან, როცა უნდათ რამეში შეისწავლონ ამისათვის ფასს იხდიან, ამავე დროს ჩვენ ვარსებობთ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა სისტემაში. ჩვენ სრულებით არ ვართ განცალკევებული. და იმ დრომდის სანამ რევოლიუცია მთელ განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში არ გაგვათავისუფლებს ჩვენ ამისგან, ჩვენ იძულებული ვიქნებით ვაძლიოთ ხარკი საერთაშორისო კაპიტალს. ჩვენ ამით დროს მოვიგებთ, დროის მოგება კი წონასწორობის ხანაში ნიშნავს ყველაფრის მოგებას.

ამასთან ერთად ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერთადერთ ჩვენს ეკონომიურ საფუძვლად შეიძლება იყოს მხოლოდ მსხვილი სამანქანო ინდუსტრია.

ვინც ამას ივიწყებს, ის კომუნისტი არ არის. ჩვენ ამის შესახებ არა თეორიულად უნდა ვიმსჯელოთ, არამედ დავაყენოთ ჩვენს წინაშე პრაქტიკული ამოცანები. თანამედროვე მსხვილი ინდუსტრია მიილტვის ქვეყნის ელექტროფიკაციისაკენ.

შვეცია, გერმანია, ამერიკა ანხორციელებენ ამას ჯერ კიდევ კაპიტალისტური მეურნეობის ხანაში. ჩვენ დავაარსეთ ამ მიზნით სპეციალური კომისია, რომელიც შესდგება ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ეკონომისტებისა და ტეხნიკურ ძალებისაგან. ელექტროფიკაციის გეგმა ჩვენ ჭიერ შევიმუშავეთ. ამაში მონაწილეობა მიიღო 210-ზე მეტმა სპეციალისტმა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თითქმის ყველანი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგნი იყვნენ, ისინი დაინტერესდნენ ამ საქმით, ვინაიდან მეცნიერების თვალსაზრისით უნდა ეცნოთ, რომ ეს არის ერთად-ერთი გზა ქვეყნის ეკონომიურ კრიზისიდან გამოსაყვანად, გლეხობის დასახსნელად ბეჩავობისა და შიმშილისაგან. რასაკვირველია, ამ გეგმის განხორციელება არ არის ადვილი, ის მოითხოვს მოსამზადებელ მუშაობისათვის არა ნაკლებ ათი წლისა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით ის, რაც ჩვენ ამ დარგში გავაკეთეთ, ძლიერ მცირეა, მაგრამ გლეხი სწავლობს ამ უმნიშვნელოზე, ვინაიდან ამას აქვს დიდი პროპაგანდისტური მნიშვნელობა. ის ხედავს, რომ რაღაც ახალი იქმნება, რაღაც არა თვითეული თავისათვის, არამედ მთელი სახელმწიფო მისთვის მუშაობს. და არ უნდა იყოს საწყენი, თუ ჩვენ მოგვიხდება მივსცეთ კაპიტალისტებს ასეული მილიონობით კილოგრამი ნავთი იმ დახმარების ნაცვლად, რომელსაც ისინი გაგვიწევენ ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმეში.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა წმინდა დემოკრატიაზე. ენგელსი 1884 წელს სწერდა: რომ „წმინდა დემოკრატია—რევოლიუციის დროის პოლიტიკა ცოტა ხნით დროებითი მნიშვნელობას... როგორც უკანასკნელი საშუალება ბურჟუაზიულ და თითქმის ფეოდალურ მეურნეობის გადასარჩენათ და მათ საშველად... ყოველ შემთხვევაში კრიზისის დროს და მეორე დღეს მის შემდეგ ჩვენ ერთად ერთ მოწინააღმდეგეთ გამოვა მთელი რეაქციონური მასა, რომელიც გაერთიანებული იქნება წმინდა დემოკრატიის გარშემო".

თუ ანალიზს გაუკეთებთ რუსეთის ესერებს და მენშევიკებს, არა იმათი სიტყვების, არამედ საქმეების მიხედვით, ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ ისინი წარმოადგენენ წმინდა წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატიას. ჩვენს რევოლიუციაში მათ კლასიკური სიწმინდით გამოაშკარავეს ეს წმინდა დემოკრატია. მუდამ ისინი თავისი მერყეობით აძლიერებდნენ ბურჟუაზიას. რუსეთის მსხვილი ბურჟუაზიის უჭკვიანესი ხელმძღვანელები, რომლებმაც ეხლა წამოაყენეს ლოზუნგი: „საბჭოები უბოლშევიკებოდ", წარმოადგენენ წინააღმდეგ ესერებისა, კადეტების მიერ საბჭოთა ხელისუფლების დაცვის ძლიერ ორიგინალურ საშუალებას. ასეთია ჩვენი რევოლიუციის პრაქტიკული დიალექტიკა. კადეტებს ძლიერ კარგად ესმით, რომ მათთვის გამოსადეგია დახმარონ ეხლანდელ მომენტში მენშევიკებს და ესერებს ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში, რათა იმათ ზურგზე დაამყარონ თავიანთი ბატონობა, აი რატომ მენშევიკებისა და ესერების, ამ შეერთებულ რეაქციის ავანგარდის წინააღმდეგ უნდა ვაწარმოვოთ ეხლა დაუზოგველი ბრძოლა. დიქტატურა არის გამწვავებულ ბრძოლის მდგომარეობა და ჩვენც ამ მდგომარეობაში ვიმყოფებით. თუ ეხლანდელ მომენტში ჩვენ კიდევ არა ვართ მოწმე ბურჟუაზიის შეიარაღებული გამოლაშქრებისა ჩვენ წინააღმდეგ, ეს იმიტომ, რომ მუშათა კლასის ფართე მასები, თუმც ეხლაც ჯერ კიდევ არ დგანან ისინი კომუნიზმის დროშის ქვეშ, მაგრამ მაინც იმდენად არიან შეგნებული, რომ ხელს უშლიან ინტერვენციას. ომში ჩვენ ვიქცევით ისე, როგორც ომს შეეფერის. ჩვენ არავის არ ვპირდებით არავითარ თავისუფლებას და არავითარ დემოკრატიას, მაგრამ სავსებით გულახდილად ვეუბნებით გლეხს, რომ მან უნდა ირჩიოს ან ყოფნა ჩვენთან, რომელშიც შესაძლებლობის უკიდურესობამდი წავალთ დათმობებზე მასთან, რომ ამგვარად შევინახოთ ჩვენი ხელისუფლება და შემდეგ წავიყვანოთ იგი სოციალიზმისაკენ,—ან აშკარა სამოქალაქო ომი. ყოველივე დანარჩენი არის ერთი ჩმახვა, წმინდა დემაგოგია და სხვა არაფერი.

ამხ. ლენინის შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. ზაქსს (გ. კ. მ. პ.).

ჩვენ გვესმის—ამბობს ორატორი,—როგორ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება საბჭოთა რუსეთი, და ვფიქრობთ, რომ მთელი საკითხის სიმძიმე იმაში მდგომარეობს, როგორ ფიქრობს რუსეთის კომუნისტური პარტია გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან. ამხ. ლენინმა სთქვა,—ამბობს იგი,—რომ რუსეთის პროლეტარიატი ხარკს აძლევს ეხლა ევროპის კაპიტალიზმს და იძულებული იქნება განაგრძოს ეს მანამდის, სანამ სოციალური რევოლიუცია არ იხსნის მას ამ აუცილებლობისაგან. მაგრამ ხშირათ, რომ ასეთმა პოლიტიკამ, რომელსაც ისინი სთვლის თანამედროვე მომენტში აუცილებლად, ძალიანად არ შესცვალოს პროლეტარიატის დიქტატურის ეკონომიური საფუძვლები რუსეთში. დედამიწაზე არ არის პარტია, რომელიც იყოს დამოუკიდებელი ეკონომიურ პირობებისაგან, ასეთივეა, რასაკვირველია, რუსეთის კომუნისტური პარტიაც. არა ნაკლებ სერიოზული ახალი პოლიტიკის საერთაშორისო მნიშვნელობაც. ან რუსეთის მიერ დადებული დიპლომატიური ხელშეკრულებები არ იქნებიან განხორციელებულნი, მაშინ ისინი, რასაკვირველია, არ წარმოადგენენ არავითარ მნიშვნელობას, ან, როგორც ეს ამხ. ლენინმა გაგვიცხადა ჩვენ, ისინი განხორციელებულნი იქნებიან და მაშინ ისინი გააძლიერებენ ევროპის კაპიტალიზმს და ამით კომუნისტურ განვითარების ტემპს შეანელებს. ინგლისის კაპიტალისტები ეხლავე სარგებლობენ ამ მდგომარეობით, ისინი ეუბნებიან მაღაროს მუშებს, რომ იმათ გაფიცვას მოაქვს ვნება საბჭოთა რუსეთისათვის. ხელშეკრულობის შესრულება ბურჟუაზიას აძლევს შესაძლებლობას ისარგებლოს ამ საბუთით, რომ ნამდვილი მდგომარეობა დამალოს და მით ცუდ პირობებში ჩააყენოს პროლეტარიატის ბრძოლა. პროლეტარიატის ევროპიელი პარტიები უნდა გამოვიდნენ უფრო რევოლიუციონურად; ისინი პასუხისმგებელნი არიან რუსეთის რევოლიუციის დახმარებაში.

რადეკი. მე ანალიზს არ გავუკეთებ საკითხს, შეაჩერებს თუ არა რუსეთი დასავლეთ ევროპაში საქონლის ყიდვით იმპერიალიზმის კრიზისს მთელ მსოფლიოში. მე ვეკითხები ამხ. ზაქსს, გერმანიის კომუნისტურ მუშათა პარტიის წარმომადგენელს, სთვლის თუ არა ის რუსეთის კომუნისტურ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას სწორათ და აუცილებლათ რუსეთის პროლეტარიატის თვალსაზრისით. ამხ. ლენინის დასკვნების შემდეგ მე არ შემიძლია მტკიცებას, რომ სხვა პოლიტიკა ამ გარდამავალ ხანაში შეუძლებელი იყო ქვეყანაში, სადაც გლეხობა მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს. მენშევიკები დიდხანს ამტკიცებდნენ, რომ სოციალურ ძალთა ურთიერთობა რუსეთში არ იძლევა სოციალიზმის განხორციელების საშუალებას. ამიტომ ისინი ცდილობდნენ ბურჟუაზიის დახმარების საშუალებით ეკონომიურ ძალთა ყოველ მხრივ განვითარებას რუსეთში იმისათვის, რომ იქ ოდესმე შესაძლებელი ყოფილიყო სოციალიზმის განხორციელება. ბოლშევიკები კი 15 წლის წინედ ფიქრობდნენ, რომ მაშინ პროლეტარული რევოლიუცია შეუძლებელი იყო, მაგრამ აღნიშნავდნენ, რომ ცარიზმზე გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის გლეხობასთან დაკავშირებით. ამხ. ტროცკი კი მაშინ ამბობდა, თუ მუშათა კლასი ჩაიგდებს ხელისუფლებას ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყანაში, იმან ლოგიკურ გარდაუვალ კანონის ძალით ეს ხელისუფლება უნდა გამოიყენოს სოციალიზმის გასატარებლად.

ამ რევოლიუციის დასაწყისში კი კომუნისტური პარტია ფრთხილად აყენებდა საკითხს იმის შესახებ, თუ რას გააკეთებდა ის, იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლებას ხელში ჩაიგდება. ამხ. ლენინი 17 წლის აპრილში სწერდა: „ჩვენ გადავდგამთ პირველ ნაბიჯს სოციალიზმის განხორციელებლად. კომუნიზმი, როგორც საზოგადოების ცოცხალი ორგანიზმი, შეუძლებელია დანგრეულ მეურნეობის ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას გლეხობა შეადგენს. მხოლოდ შეიძლება ვიფიქროთ მსხვილი მრეწველობის, ტრანსპორტის, ბანკების და საგარეო ვაჭრობის სოციალიზაციაზე". ჩვენ განვითარების პროცესში უკვე გადავაბიჯეთ ამ პროგრამას. ამხ. ლენინი თავის ბროშურაში სასურსათო გადასახადის შესახებ ამბობს: თუ ქვეყანას ომის საწარმოებლად ესაჭიროება ცარცვა და ნგრევა, ეს უნდა ხდებოდეს არა მარტო მსხვილ მრეწველობის მიმართ, არამედ საშუალო და წვრილ მეურნეობის მიმართაც. იქ, სადაც მეფობდა უდიდესი საჭიროება, მუშათა კლასი, ბუნებრივად, ცდილობდა შემოეღო ტლანქი პრიმიტიული კომუნიზმი. პურის და ტანისამოსის ნაკლებობამ გამოიწვია საერთო განასწორებისადმი მისწრაფება. მხოლოდ ეხლა, როცა ჩვენ გადავდგით სამოქალაქო ომის ხანიდან მშვიდობიან ცხოვრებაზე, ჩვენ მხოლოდ ვიწყებთ ეკონომიურ საკითხების გადაწყვეტას, მხოლოდ ეხლა ვდგევართ სოციალიზაციის ამოცანის წინაშე საბჭოთა ხელისუფლებას საშუალებით.

თუ თქვენ სცნობთ, რომ საბჭოთა რუსეთი არის ეხლანდელ დროში მსოფლიო რევოლიუციის ავანპოსტი, რომელიც კომუნისტურ მეურნეობის სისტემის გატარების შესაძლებლობას ქმნის არა მარტო მსხვილ წარმოებისათვის, არამედ ამ მიზნით იყენებს რუსეთის გლეხობის ძალებსაც, თქვენ უნდა გაიგოთ, რომ ეს აუცილებლობას წარმოადგენს მსოფლიო რევოლიუციის თვალსაზრისით. თუ ჩვენი პოლიტიკა მსოფლიო რევოლიუციისათვის წარმოადგენს აუცილებლობას, ამან უნდა დაეთანხმოს კომინტერნი და მიიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა ნათელია და მე ვიმეორებ, რომ ის ეხლანდელ სოციალურ ძალთა ურთიერთობის დროს წარმოადგენს აუცილებლობას არა მარტო რუსეთისათვის, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატისთვისაც. რასაკვირველია, იგი არის კომპრომისის პოლიტიკა და წარმოადგენს დიდ საშიშროებას.

ამხ. ლენინმა თავის თეზისებში სთქვა, რომ პროლეტარულ მთავრობას განცალკევებულად არ შეუძლია დიდხანს ყოფნა. ამ საშიშროების წინააღმდეგ არის მხოლოდ ერთი საშუალება: დაჩქარებული მსოფლიო რევოლიუცია. თქვენი გაფრთხილების საპასუხოდ ჩვენ თამამად შეგვიძლია გითხრათ, რომ ჩვენ თვითონ დავიცავთ ჩვენს პოზიციებს ბოლომდი, თქვენ კი, თავის მხრით, ნუ დაკარგავთ დროს, მოამზადეთ ყველაფერი იმისათვის, რომ ჩვენი გამარჯვება უზრუნველი იყოს.

ჩვენი პოლიტიკა მიპყრობილია კომინტერნის ინტერესების დასაცავად, რაიცა მდგომარეობს იმაში, რომ ყველა პარტიებს ეყოს მობილიზაცია, ბრძოლის უნარი აღჭურვოს ისინი: მაგრამ იმათმა თავის ნებით ბრძოლა არ დაიწყონ, თუ კი გამარჯვების იმედი არ ექნებათ. საბჭოთა მთავრობის და კომუნისტურ ინტერნაციონალის პოლიტიკა უნდა ეგუებოდეს ყოველგვარ მდგომარეობას, ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს დროის მოგება გამარჯვების მოსამზადებლად, ორგანიზაცია, როგორც სთქვა ამხ. ლენინმა, არა წიგნების კითხვა, არამედ ორგანიზაცია და ძალთა მომზადება ჩვენ მიერ ბრძოლიდან გამოტანილი ცხოვრების გაკვეთილების მიხედვით.

საბჭოთა რუსეთი და პოლონეთი

ამხ. ზინოვიევის მოხსენება კომ. ახალგაზრდობის ყრილობაზე.

მოსკოვი, 27 სექტ. (რადიო) სრულიად რუსეთის კომ. ახალგაზრდობის ყრილობაზე ამხ. ზინოვიევმა განაცხადა: საბჭოთა რუსეთმა უარყო პოლონეთის ულტიმატუმი. ყველა მუშათა კრებებზე, რომელზედაც ჩვენ ვეკითხებოდით: სწორია თუ არა ჩვენ მიერ უარის ყოფა პოლონელი ბურჟუაზიის [illegible] მოთხოვნილებისა, ჩვენ მივიღეთ დამადასტურებელი პასუხი. დიახ საბჭოთა ხელისუფლება მოიქცა სწორად. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკამ უკვე გადაიტანა ის ხანა, როცა რომელიმე ბურჟუაზიულ მთავრობას შეეძლო ეკარნახა მისთვის ესა თუ ის ულტიმატუმი. დაე ყველა ბურჟუაზიულმა მთავრობებმა ერთხელ და სამუდამოთ დაიხსომონ რომ ჩვენ ომი არა გვსურს მაგრამ არის საზღვარი, რომლის იქით ჩვენ წასვლის ნებას არავის მივცემთ.

3 სექტემბერს, განაგრძობს ამხანაგი ზინოვიევი საფრანგეთის მთავრობამ მოსთხოვა პოლონეთის მთავრობას, რომ მას წამოეყენებინა ჩვენთვის ულტიმატუმი. 7 სექტემბერს, ინგლისის მთავრობამ წამოაყენა საბჭოთა რუსეთის წინაშე მრისხანე ნოტა, რომელშიაც აღნიშნულია რომ კომუნისტური ინტერნაციონალი აღმოსავლეთში აწარმოებს პროპაგანდას; ნოტაში მოყვანილია მთელი წყება დოკუმენტებისა, რომელშიაც დიდი უმრავლესობა ყალბია. დღეს ჩვენ გაუგზავნეთ დეპეშა ინგლისის კომუნისტურ პარტიას და ვთხოვეთ მას გადასცეს ინგლისის მთავრობას, რომ ის ამაოთ ფლანგავს ფულებს ყალბი დოკუმენტების შესასყიდათ, როცა კომინტერნი მზათ არის მისცეს მას სულიად უფასოდ თავისი მოწოდებანი. უკანასკნელი მომხდარი ამბები გვიჩვენებენ, რომ სრული სიმშვიდე ჯერ არ არის დამდგარი და რომ ამა თუ იმ წუთში მოსალოდნელია დარღვევა ჩვენი სამშვიდობო მუშაობისა და მთელი რესპუბლიკას გამოცხადება საომარ მდგომარეობაში.

რაც შეეხება ჩვენს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას და პარტიის გაწმენდას, რომელმაც მოუსწრო ამ ცვლილებას, ამბობს ამხ. ზინოვიევი თავის სიტყვის დასასრულში, უნდა ითქვას რომ ჩვენ მიერ საჭირო დათმობის გამოკვეთილი გლეხობამდი, საჭიროა რომ ჩვენი პარტია ჩამოსხმული იქნას ერთი [illegible]საგან.

საფრანგეთი და რუსეთი

ბუქარესტი, 25 სექტ. (რადიო). საფრანგეთის პრესამ გამოაქვეყნა ცნობა რუსეთიდან, რომელშიაც ლონდონის მთავრობას ბრალდება მიეწერება საფრანგეთის იზოლაციისა რუსეთისაგან. ამასთან ერთად საფრანგეთის პრესა, შთაგონებული, ალბად, საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს მიერ, საბჭოთა რუსეთს ბრალსა სდებს საფრანგეთისადმი სიძულვილში. საპასუხოდ საბჭოთა გაზეთები აღნიშნავენ: „ჩვენ ვეკითხებით არა მარტო ფრანგ მუშებს, არამედ ფრანგ წვრილ ბურჟუაზიასაც განა დასაშვებია, რომ დამშეულ ხალხზე [illegible] და [illegible] თავდასხმა მოახდინონ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მუშური ელემენტი და ჰუმანიური წრეები და თვით წვრილი ბურჟუაზიაც მიხვდებიან, რომ ბრიანის ჯგუფი, ავანტიურისტების ხროვა ევროპის ხალხებს ახალ ომს უმზადებენ, რომელიც რუსეთს ან მთელ მსოფლიოს მუშებს უუდიდეს უბედურობას მიაყენებს. პოლონეთში მარშალ პილსუდსკის რაინდულ ავანტიურისტებს ბოლო ეღებათ, ვინაიდან პოლონეთი შერყეულია გაფიცვებით, ოფიცრები და ჯარის კაცები ჯამაგირს ვერ ღებულობენ. პოლონეთს ძალას აცლის საფრანგეთი. მან მოითხოვა პოლონეთის არმიის დემობილიზაციის შეჩერება, მან მოითხოვა რუმინიისა და პოლონეთიდან ისეთი არმიის შენახვა, რომელიც ყოველ დროს იქნებოდა მზად რუსეთზე თავდასასხმელად. პოლონეთის მთავრობა, რომელმაც უარყო საბჭოთა მთავრობის კანონიერი მოთხოვნა რუსეთზე თავდამსხმელ ბანდებისაგან და სხვა და სხვა ავანტიურისტებისაგან პოლონეთის ტერიტორიის გაწმენდაზე, თვითონ აწყობს შეთქმულობას რუსეთის წინააღმდეგ. ეს პოლონეთის მხრით სამტრო მოქმედებათა აშკარა გაგრძელებაა. თუ პოლონეთი აასრულებს საბჭოთა მთავრობის კანონიერ მოთხოვნებს, არ იქნება ისეთი გარემოება, რომელსაც შეეძლება ხელი შეუშალოს ორივე ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობას.

საბჭოთა საქართველო დამშეულთა დასახმარებლათ

ცნობა № 11.

საბ. რუსეთის დამშეულთა დამხმარე ც. კომიტეტები შემოსულ შემოწირულებათა შესახებ 1921 წ. 22 და 23 სექტემბერს.

შემოვიდა ნაღდით კომიტეტის სალაროში:

1. ცენტრალურ საინსტრუქტორო ინსტიტუტისაგან—ინსტიტუტის თანამშრომელთა მსმენელთა შორის შეგროვილი—563 580 მ.
2. ს. ს. ს. რ. ავტოჯავშნოსნის რაზმიდან № 1—მთელი რაზმის თვიური ჯამაგირი—254 625 მ.
3. მისგანვე—242.937 მ.
4. ს. პ. კ. ს—გან პროფკავშირების მოსამსახურეთა შორის შეგროვილი—13 549 871 მ.
5. კ. ც. არმიის მომარაგების განყოფილებიდან—მოსამსახურეთა ჯამაგირის გადარიცხვა—408.475 მ.
6. მე 25 ცალკე საექსპლოატაციო ტელეგრაფისტთა რაზმიდან—წითელ არმიელთა და უფ. შემადგენლობის ჯამაგირის პროც. 351.067 მ.
7. სომეხ მსახიობთა 1 ლი კოლექტივისა და წარმოდგენიდან 20 პროც.—186 600 მ.
8. მე 46 ავტოჯავშნოსნის რაზმიდან—ფასიან კვირაობიდან, შემოსული და რაზმის წითელ არმიელთა ჯამაგირის 3 პროც. 397.700 მ.

სულ 15 954 855 მ.

წინედ შემოსული—326 906 537 მ.

სულ 326.906.537 მან.

ბავშვები დამშეულთ.

29 აგვისტოს კაჯორის ბავშვთა ახალშენში შესდგა ახალშენის ბავშვთა კრება. ბავშვებმა იქონიეს მსჯელობა იმაზე, თუ რითი შეეძლებათ მათ დაიხმარონ ვოლგის მხრის დამშეულ ბავშვებს.

კრებას მეთაურობდა პრეზიდიუმი შემდგარი უფროსი ბავშვებისგან. კრება მივიდა იმ დასკვნამდინ, რომ აუცილებელია საჭმელით და შეძლებისდაგვარათ დახმარება და დაადგინა: გადასცენ მათი ხვედრი სურსათის ულუფიდან 56 გირ. ფქვილი, 43 გირ. ბრინჯი და 9 ნახ. გირ. შაქარი. იმავე საღამოს გაიმართა საბავშვო წარმოდგენა დამშეულთა სასარგებლოთ, შემოსავალი გამოიხატა 550,000 მანეთში. ფული და სურსათი გაუგზავნეს თბილისში საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

——

ახალ სენაკი.

3 სექტემბერს, ვოლგის ნაპირებზე დამშეულთა დამხმარე კომისიამ ადგილობრივი [illegible] თეატრში გამართა წარმოდგენა. ამავე კომისიამ 4 სექტემბერს ადგილობრივად გამართა დიდი სახალხო სეირნობა. მას ამ საქმეში დიდი დახმარება აღმოუჩინა ადგილობრივმა დრამატიულმა დასმა, საბჭოთა დაწესებულებებმა, შეგარდენთა ჯგუფმა და კერძო პირებმა. კომისიის თხოვნამ ყველაში და ყოველგან პოვა მხურვალე გამოძახილი. ყველა სიამოვნებით ეშურებოდნენ მონაწილეობა მიეღოთ წარმოდგენის გამართვაში და სეირნობის მოწყობაში. სეირნობამდი პოლიტპროსვეტის მიერ გამოშვებული იყო პლაკატები და მოწოდებები, დილიდან გამოვიდა ავტომობილზე მოწყობილი მუსიკა, რომელმაც მოიარა ქალაქი და ამცნო მშრომელთა მასას ამ დღის მნიშვნელობა და დანიშნულება, ყველა დიდი თუ პატარა მიეშურებოდა სეირნობაზე. ყველა ენთუზიაზმით ჩაბმული იყო ამ საქმეში და ეს ამტკიცებდა მშრომელი მასის მიერ თავისი მოწოდების შეგნებას დამშეულ მოძმეთა დახმარების აღმოჩენაში. სეირნობაზე იყო სხვა და სხვა გასართობები. სეირნობა დასრულდა საღამოს 10 საათზე. დამსწრენი დაიშალნენ ნასიამოვნები წმინდა შემოსავალი [illegible] ნობიდან არის 2,005,195 მან. რომელიც გადაცემულია სენაკის მაზრის ვოლგის ნაპირებზე დამხმარე კომისიაზე გადასაგზავნად დანიშნულებისამებრ. ამ ფულების მოგროვებაში მხურვალე მონაწილეობის მიღება და გულწრფელი დახმარება მშრომლების ხაზით ამტკიცებს მას, რომ მათ შეიგნეს მდგომარეობა და გაიგეს აზრით, რომ შიმშილი წარმოადგენს მუშათა და გლეხთა რესპუბლიკების უძლიერეს საფრთხეს. სარგებლობს რა მუშათა და გლეხთა ამ სტიქიური უბედურებით, ბურჟუაზია შიგნით და გარედან პურით ხელში მოდის და ამით უნდა შემოგვეპაროს ბორკილები, რომელიც დიდი ხანია დამსხვრეულია—დაგვადგას მონობის უღელი და გამოგვტაცოს ხელიდან ის თავისუფლება, რომელიც ჩვენი სისხლით არის მოპოვებული. ეს ასეა ამას ამტკიცებს სრულიად რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტის მოქმედება. მშრომლები მიუხვდენ ამ მახინაციების. ისინი არ დაკარგავენ იმ ძვირფას თავისუფლებას, რომელიც დიდის ხნის ტანჯვა-წვალებით მოიპოვეს.

გოგინავა.

ქრონიკა

ამხ. თედო მუშიაშვილი. მოკლულ იქნა 1918 წ. ქ. კავკავში კაზაკების კონტრრევოლიუციურ გამოსვლების დროს. მისი მშობლები, რომლებმაც მისი დაღუპვა მხოლოდ ახლა გაიგეს აუწყებენ ამხანაგებს, მეგობრებს და ნათესავებს, რომ შაბათს, 1 ოქტომბერს, 4 საათზე დანიშნულია პანაშვიდი კუკიის სასაფლაოზე.

✦ **განათლების სახალხო კომისარიატის ჟურნალი.** შეუდგნენ სახალხო განათლების კომისარიატის პერიოდულ ჟურნალის პირველ ნომრის გამოცემას. მთავარი ყურადღება ჟურნალში მიექცევა კომუნისტურ განათლებას, გაერთიანებულ შრომის სკოლის მოწყობას და პოლიტიკურ განათლების მუშაობას. მასალები პირველი ნომრისათვის გროვდება და ახლო დღეებში სახელმწიფო გამომცემლობა შეუდგება ჟურნალის ბეჭდვას. ჟურნალი გამოვა ყოველ თვიურად და იგი იქნება პირველი ნაბიჯი სახალხო კომისარიატების პერიოდულ გამოქვეყნებათა ორგანიზაციის საქმეში.

✦ **საბავშვო წიგნების და ჟურნალების გამოცემა.** სახალხო განათლების კომისარიატ სოციალური აღზრდის მთავარი მართველობა ენერგიულათ მუშაობს ბავშვთათვის მომავალ სასწავლო წლისთვის სახელმძღვანელოების გამოსაცემათ. დამთავრებულია მასალების ამორჩევა ბავშვთა კრებულისთვის „გაზაფხული", რომელიც დანიშნულია საბავშვო ბაღებში საკითხავათ. კრებული დაიბეჭდათ გადაეცემა სახელმწიფო გამომცემლობას. ხელოვნების სახიობითი საგიტაციო განყოფილება ამზადებს კრებულ ბავშვის ნახატებს და სურათებს. სოციალური აღზრდის მთავარი მმართველობა ამზადებს აგრეთვე მასალებს სპეციალურ საბავშვო ჟურნალების შესადგენათ.

✦ **სახელმწიფო გამომცემლობა.** უკანასკნელ დღეებში სახელმწიფო გამომცემლობაში იყვნენ საბჭოთა დაწესებულებების წარმომადგენლები და კერძო პირები იმ მიზნით, რომ გამოერკვიათ შეიძლება თუ არა გამოცემა ამა თუ იმ სალიტერატურო და სამოსწავლო სახელმძღვანელოებისა. დიდ ინტერესს იწვევს სამოსწავლო სახელმძღვანელოების გამოცემა. სხვათა შორის შემოვიდა წინადადება ბოტანიკის და გეოგრაფიის ქართულ ენაზე გამოცემის შესახებ, საქართველოს ისტორიისა რუსულ ენაზე, ბავშვთა რამოდენიმე სურათიან ზღაპრებისა ქართულ ენაზე, ტანვარჯიშობის სახელმძღვანელოსი და სხვა. ვინაიდგან დღემდი, მიუხედავად გაზეთებში მეორედ განცხადებისა, ყველა სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ დაწესებულებებს არ წარმოუდგენიათ სახელმწიფო გამომცემლობისათვის თავიანთი ხარჯთაღრიცხვა ამ წელში მათ მიერ განზრახულ გამოცემათა შესახებ, ამიტომ სახელმწიფო გამომცემლობას არ აქვს შეძლებლობა გამოარკვიოს, როგორი ტეხნიკური საშუალებები დასჭირდება მას სახალხო კომისარიატების, საბჭოთა ორგანიზაციების და დაწესებულებათა ყველა [illegible] დასაკმაყოფილებლად. სასურველი იქნებოდა, თუ გამომცემლობის საქმეში ყველა დაინტერესებული ორგანიზაციები და დაწესებულებები დააჩქარებდენ მათ მიერ განზრახულ გამოცემათა წარმოდგენას სახელმწიფო გამომცემლობაში, და ამით მისცემდნენ სახელმწიფო გამომცემლობის საშუალებას სამართლიანად განაწილოს მის განკარგულებაში არსებული ტეხნიკური საშუალებანი პარტიულ საგიტაციო ლიტერატურის, სამოსწავლო წიგნების და სხვა ბეჭდვითი ნაწარმოების გამოსაცემად.

შემომოყვანილი ფაქტი გვიჩვენებს რომ მარტო გაზეთებში გამოქვეყნება და ახსნა განმარტების წერა საკმარისი არ არის. საჭიროა ცოცხალი სიტყვა, ბაასების გამართვა, დღიური პრაქტიკული კითხვების განმარტება და არა შაბლონიური მოხსენება თანამედროვე მომენტზე.

საჩხერლების გადმოცემით იქ რამოდენიმე დღის წინ ყოფილა მიტინგი, სადაც მოხსენება გაუკეთებიათ რუსულ და ქართულ ენაზე თანამედროვე მომენტის შესახებ და ერთი სიტყვაც არ თქმულა ნატურალურ გადასახადზე. ალბათ მომხსენებელს ეს კითხვა არ მიაჩნია მომენტის ერთ ფრიად მნიშვნელოვან კითხვათ. ასეთ მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც ამით სარგებლობენ ჩვენი მოწინააღმდეგენი, რომლებიც ათასგვარ პროვოკაციას უწევიან და ამხედრებენ ჩვენს წინააღმდეგ სოფლის მშრომელ მასას.

ჩემი ფიქრით ცენტრიდან გაგზავნილებს, რომლებმაც არ იციან ადგილობრივი პირობები, სჯობიან თვით ადგილობრივი სოფლელი ამხანაგები, რომლებიც უნდა გავცნოთ ასეთ საკითხებს, როგორიც ნატურალური გადასახადია და სხვ. ისინი შესძლებენ, მართალია, არა ორატორული ენით, მაგრამ მკაფიოთ და გასაგებათ აუხსნან და გააცნონ სოფლელებს დღიური საჭირბოროტო კითხვები; წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრი დაბრკოლებები გადაგვეღობება წინ, სულ უბრალო კითხვების გატარების დროსაც და ამ დაბრკოლებებს ვერ მოსპობს მოხსენებები „თანამედროვე მომენტზე".

ხ. გოდ-ძე.

—

ნატურალური გადასახადების ირგვლივ—და არა მარტო მათ შესახებ—რომ ათას გვარ ჭორებს ავრცელებენ ჩვენი მტრები სოფლად—ეს ცხადია, ეს ჩვენ ვიცით. ჩვენ სრულებით ვეთანხმებით წერილის ავტორს იმაში, რომ ბრძოლა ამ ხმების წინააღმდეგ უნდა სწარმოებდეს არა მარტო გაზეთის საშუალებით, არამედ გადასახადების დანიშნულების ახსნა განმარტება და მათი ადგილის გარკვევა ჩვენ ეკონომიურ პოლიტიკაში უნდა ხდებოდეს ზეპირი სიტყვითაც და ცხადია, ეს საკითხი უნდა შეადგენდეს ერთ მთავარ ნაწილს ამხანაგების მოხსენებების ადგილობრივ. მაგრამ ჩვენი მტრების მიერ გადასახადის რაოდენობის გაზვიადების გასამართლებლათ, ჩვენთვის სრულიადაც არ არის საჭირო, ამ ბოროტ განზრახვით გავრცელებულ ხმას მეორე შეცდარი აზრი დავუპირდაპიროთ: თითქოს ადგილობრივ საჭირო არ იყოს გაკეთებული გადასახადის შესახებ, დაარქმევთ მათ სასიმინდეებს, ბეღლებს თუ კიდევ სხვა რომელიმე სახელს. იქ, სადაც სახელმწიფოს ან იმ ორგანოებს, რომლებიც კრებენ სახელმწიფოს დავალებით გადასახადებს, არ გაჩნიათ საჭირო საწყობები, ბუნებრივია, რომ ასეთების მოწყობა აუცილებელი იქნება. თავი და თავი კი ის არის, ვიცოდეთ, რომ სოფლელი გაერკვეს გადასახადის დანიშნულებას და მის რაოდენობას. ამაში, ცხადია, სახელმწიფოს დახმარება უნდა აღმოუჩინონ, როგორც ეს დავალებულიც აქვთ მათ, ჩვენში ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა და იმ ამხანაგებმა, რომლებიც მუშაობას ეწევიან სოფლად.

თანამშრომელი.

პარტიული ცხოვრება

პარტიული სკოლა.

ამ ჟამათ თბილისში მოქმედებს 3 პარტიული სკოლა: ცენტრალური და 2 რაიონული. ცენტრალური სკოლის იდეური ხელმძღვანელი არის კ. პ. ც. კ. რაიონულ სკოლებს იდეურ ხელმძღვანელობას უწევს თ. კ. საქმის დაყენების ტეხნიკური მხარე ყველა სკოლაში, კომპარტიის დადგენილებით, იმყოფება პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს საბჭოთა პარტიულ სკოლათა ქვე-განყოფილების ხელში. სკოლაში მსმენელებათ ითვლებიან, როგორც პარტიის წევრები, ისე კანდიდატები. ერთ რაიონს და ცენტრალურ სკოლებში ლექციები იკითხება ქართულ და რუსულ ენებზე, მე 2 რაიონულში—მხოლოდ რუსულ ენაზე. მსმენელთა რიცხვი ცენტრალურ სკოლაში აღის 500-მდე, მომეტებული მათი ნაწილი გამოგზავნილია პროვინციებიდან.

— საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის კომიტეტის სამხედრო განყოფილებასთან არსდება კომისია, რომელიც მოახდენს პარტიის წევრების და კანდიდატების განსაკუთრებულ დანიშნულების რაზმში ჩასარიცხად, ან მათ ამ რაზმის რიცხვიდან განთავისუფლებლად. კომისიის სხდომები იქნება თბილისის კომიტეტის სამხედრო განყოფილებასთან რუსთაველის პრ. № 22, 5 საათზე. 30 ამ წლის სექტემბრიდან.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხანაგებს: 1. დოლიძე გიორგის, 2. [illegible] ივანეს, 3. [illegible], რომ დაუყონებლივ ამის გამოქვეყნებისა სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის აღრიცხველ განაწილების ქვე განყოფილებაში.

— კომისია პარტიის გაწმენდისა წინადადებას აძლევს ქვემოხსენებულ ამხანაგებს, რომლებიც იმყოფებიან 1 რაიონის იაჩეიკების გარეშე დაუყონებლივ გამოცხადდნენ პრაკტიკულად, 30 სექტემბერს 4 საათზე ნაძალადევის სამკითხველოში, გადასინჯვისათვის. მოსვლა სავალდებულოა ყველასათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში დარჩებიან იაჩეიკის გარეშე.

1. [illegible] ემილია, 2. დენისოვი [illegible], 3. ჯაფარიძე კალისტრატე, 4. ქოქუნაძე გიორგი, 5. ქართველიშვილი საბა, 6. ყიფიანი ნიკოლოზი 7. ქოსულიშვილი ალექსანდრე, 8. კრავეიშვილი ივანე, 9. კამაროვი დიმიტრი, 10. ლიტვინი იაკობი, 11. ლიტვინი იაკიმე, 12. მირუაშვილი ბაგრატი, 13. მალიშევ ივანე, 14. მგალობლიშვილი ტარასი, 15. მესხიშვილი ალექსანდრე, 16. მელაძე ნინო, 17. ოქროპირიშვილი იოსებ, 18. სტურუა კონსტანტინე, 19. თოფურიძე ივანე, 20. ხომასურიძე კონსტანტინე, 21. ჩხეიძე კალისტრატე, 22. შენგელია მალაქია, 23. ელბაქიძე ივანე.

კანდიდატები: 1. [illegible] ნესტორ, 2. არხიპოვი ალექსანდრე, 3, გძელიშვილი ალექსი, 4. ირემაშვილი გიორგი, 5. ტიგიშვილი ალექსანდრე, 6. ცინცაძე ვასილი.

ნატურგადასახადების ირგვლივ

არ კმარა მარტო გაზეთებში გამოქვეყნება და წერა!

ამ რამოდენიმე დღის წინათ შემთხვევით მოვხვდი საჩხერის რაიონში. პირველი კითხვა, რომლითაც მე მომმართეს კერძო ბაასის დროს, ეხებოდა ნატურალურ გადასახადს. განცვიფრებაში მომიყვანა მათმა შეკითხვამ. ისინი უკვე დაუჯერებიათ, რომ მოსავლის ნახევარი სახელმწიფომ უნდა წაიღოსო. ამის დასამტკიცებლათ მიმითითეს სოფლის რევკომის კანცელარიასთან ახლად აშენებულ მოზრდილ სასიმინდეზე და დაუმატეს, რომ ასეთი სასიმინდე რამოდენიმე უნდა დაიდგასო.

ჩემი განმარტების შემდეგ, ძლივს ძლივობით დავუჯერე ისინი, რომ ეს ხმები განზრახვით არის გავრცელებული ჩვენი მტრების მიერ და რომ ასეთი არაფერი არ მოხდება. განუმარტე, რამდენათაც მახსოვრობამ არ მიღალატა, ნატურალური გადასახადის რაოდენობა, რის შემდეგ ისინი გაოცებული დარჩნენ და განაცხადეს, რომ ეგრე მცირე გადასახადზე ლაპარაკს არავინ დაიწყებსო. მათი გამოანგარიშებით ეს გადასახადი არ შეადგენს ნიკოლოზის დროის ფულით გადასახადის ნახევარსაც კი.

აი ასეთს სურათს აქვს ადგილი იმ რაიონში, რომელიც სხვასთან შედარებით, ახლოს არის ცენტრთან.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 74.

საქართველოს სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

მუშა-მოსამსახურეთა ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლისა და სამსახურის დატოვების შესახებ.

1. აკრძალულია მუშა-მოსამსახურეთა თავის ნებით ერთი უწყებიდან ან წარმოებიდან მეორეში გადასვლა და სამსახურის სრულიად დატოვება.

შენიშვნა: დაწესებულების ადმინისტრაცია, უკეთუ ვინმე თავის ნებით დასტოვებს სამუშაოს ან სხვაგან მოეწყობა, მოვალეა დაუყონებლივ აცნობოს შრომის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს.

2. მუშა მოსამსახურეთა ერთი უწყებიდან მეორეში გადასვლა უნდა მოხდეს სათანადო უწყებათა ერთმანეთთან შეთანხმებით და შრომის სახალხო კომისარიატის ნებართვით.

3. მუშა-მოსამსახურეთა ერთი დაწესებულებიდან ან წარმოებიდან იმავე უწყების მეორე დაწესებულებაში ან წარმოებაში გადასვლა ან გადაყვანა უნდა მოხდეს დაწესებულებათა მმართველობის შეთანხმებით და შრომის სახალხო კომისარიატის ნებართვით.

4. მუშა-მოსამსახურეთა ერთი სამუშაოდან მეორეზე გადაყვანა ერთსა და იმავე დაწესებულებაში ან წარმოებაში უნდა მოხდეს დაწესებულებისა ან წარმოების ადმინისტრაციის მიერ შეფასებულ კომისიასთან შეთანხმებით.

5. ამ დადგენილების დამრღვევნი პასუხს აგებენ შრომის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოების წინაშე, როგორც შრომის დეზერტირნი.

6. თანამდებობის პირნი, ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, პასუხს აგებენ სახალხო სასამართლოს წინაშე, როგორც შრომის დეზერტირობის წამქეზებელნი და ხელისშემწყობნი.

7. ამ დადგენილების განსამარტებლად შრომის სახალხო კომისარიატს დაევალება, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ქავთარაძე.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე ა. მიქაძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.

1921 წ. სექტემბრის 22.
თბილისი-სასახლე.

დადგენილება № 75.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა—დამზღვევი კასის მონაწილეთათვის დახმარების ნორმის გადიდების შესახებ.

1. დამზღვევი კასის მონაწილე მუშა მოსამსახურეთათვის ერთდროული დახმარების არსებული ნორმები ამა 1921 წლის სექტემბრის 15-დან გად დებულ იქნეს ოთხასი პროცენტით,—სახელდობრ:

ა) 1 5 წლის ბავშვის სიკვდილის გამო — სამოცდა თხუთმეტი ათასი (75.000). მან.

ბ) 5—14 წლის ბავშვის სიკვდილის გამო—ას ოცდა ხუთი ათასი (125000) მან.

გ) 14 წლისაზე მეტი ხნის ბავშვის სიკვდილის გამო—ას სამოცდა თხუთმეტი ათასი (175.000) მან.

დ) კასის მონაწილის გარდაცვალების გამო—ორას ორმოცდა ათი ათასი (250.000) მ.

ე) კასის მონაწილის მეუღლის მშობიარობის გამო — ორას ათასი (200.000) მ.

2. ნაცვლად დღემდე არსებულ ნორმისა, (ძირითადი ჯამაგირი 3 მეოთხ. 1 ნახ.) კასის მონაწილის ავადმყოფობის გამო დახმარება ამა წლის სექტემბრის 15-დან დაწესდეს გადიდებულ ნორმით, სახელდობრ: არა ნაკლებ ძირითადი ჯამაგირის რაოდენობისა და არა უმეტეს ერთნახევრად გადიდებული ჯამაგირისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მოადგილე ს. ქავთარაძე.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე ა. მიქაძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.

1921 წ. სექტემბრის 22
თბილისი—სასახლე.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩუბინაშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—ელდა ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.